საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-07/246-17
17.01.2017

კომერციული ბანკების ხელმძღვანელებს

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

წერილობითი მითითება

1. გაცნობებთ, რომ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს ეკრძალება ფიზიკურ პირს დააკისროს მის მიერ უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტზე/სესხზე რეფინანსირების შედეგად წინსწრებით დაფარვის საკომისიო და/ან პირგასამტეხლო, ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს და/ან პირგასამტეხლოს, თუ რეფინანსირების მიზანს წარმოადგენს სესხის ლარში კონვერსია. აღნიშნული მითითება ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც რეფინანსირება ხდება სხვა კომერციულ ბანკში აღებული სესხით/კრედიტით.

2. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს ევალება:

ა) საბანკო სესხის ლარში კონვერსიის განსახორციელებლად საჭირო საბანკო ცნობების უსასყიდლოდ და არაუგვიანეს 2 საბანკო დღის ვადაში გაცემა.აღნიშნული ცნობები უნდა ითვალისწინებდეს მითითებას იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული სესხი სახელმწიფოს თანამონაწილეობით დაფინანსებულ საბანკო სესხს.

ბ) 2017 წლის 18 იანვრიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებით განსაზღვრული საბანკო კრედიტის/სესხის კონვერსიის შესაძლებლობის შესახებ, აცნობოს ყველა იმ ფიზიკურ პირს, რომლის საბანკო კრედიტი/სესხი შესაძლოა აკმაყოფილებდეს ამ დადგენილების განსაზღვრულ კრიტერიუმებს, გარდა იმ ფიზიკური პირებისა, რომლებთანაც დაკავშირება ან საბანკო კრედიტის/სესხის კონვერსია ტექნიკურად შეუძლებელია.

3. ეროვნული ბანკის მხრიდან შემდგომ მითითებამდე, აღნიშნული წერილობითი მითითების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე, საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა არ იხელმძღვანელონ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესით“.

4. აღნიშნული წერილობითი მითითების დარღვევის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — კობა გვენეტაძე

0114 / თბილისი / სანაპიროს 2 / ტელ.: 2406 406, 2406 120 / ფაქსი: 2406 577 / ელ.ფოსტა: info@nbg.gov.ge კოდი: 204104
2 Sanapiro str. / Tbilisi 0114 / Tel: 2406 406, 2406 120 / Fax: 2406 577 / E-mail: info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge